ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

დასკვნა:**დ03.37221051**
თარიღი:**15/04/2022**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ახალი სტრუქტურისა და შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტების თაობაზე

დ ა ს კ ვ ნ ა

მიმდინარე წლის 15 აპრილს ოზურგეთის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე განხილულ იქნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ახალი სტრუქტურისა და მისგან გამომდინარე შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტები. კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და აღნიშნავს:

რეფორმის დაგეგმვისა და გატარების დროს მთავარი, მოქალაქეზე ორიენტირებული სისტემის ჩამოყალიბებაა. წარმოდგენილ პროექტებში აშკარად იკვეთება ცალკეული სტრუქტურული ერთეულების ინსტიტუციური მოწყობის შეცვლის მიზანი ადმინისტრაციული, ტექნიკური და სოციალური ფუნქციების დუბლირების აღმოფხვრა და ეფექტიანი მმართველობა.

წარმოდგენილი პროექტები, ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცებული ხარჯების ზრდის გარეშე, თვისობრივად აუმჯობესებენ მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული გამოწვევების დაძლევის შესაძლებლობებს;

მუნიციპალიტეტის მერიის ამჟამად მოქმედ სტრუქტურასთან შედარებით, პროექტებში მერიის სტრუქტურული ერთეულების (სამსახურების) რაოდენობა შემცირებულია ერთი ერთეულით, ხოლო სტრუქტურული ერთეულების ქვედანაყოფების (განყოფილებები) რაოდენობა კი შემცირებულია ცხრა ერთეულით;

ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობის ოპტიმიზაციის პარალელურად, ოპტიმიზირებულია საჯარო მოხელეთა ფუნქცია-მოვალეობები და მოტივაცია;

კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია აღნიშნული პროექტები წარედგინოს საკრებულოს მისი განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი